საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 997 2025 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი

გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ფერმერული მეურნეობების დახმარების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ

1. 2025 წლის თებერვლის თვეში გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ფერმერული მეურნეობების დამხარების მიზნით, დამტკიცდეს თანდართული „გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ფერმერული მეურნეობების დახმარების პროგრამა".

2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, „გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ფერმერული მეურნეობების დახმარების პროგრამის" განხორციელებისათვის, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდის (31 05 – „ერთიანი აგროპროექტი") ფარგლებში შესაბამისი პროგრამული კლასიფიკაციის კოდის დამატება.

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შესაბამისი თანხის მოძიება და მიმართვა ქვეპროგრამის „გურიისა

და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ფერმერული მეურნეობების დახმარების პროგრამის“ დასაფინანსებლად.

4. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს მისცეს უფლება, სს ლიბერთი ბანკში გახსნას საბანკო ანგარიში/ანგარიშები ან/და ისარგებლოს უკვე გახსნილი საბანკო ანგარიშით/ანგარიშებით.

5. „გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ფერმერული მეურნეობების დახმარების პროგრამის“ შეუფერხებლად განხორციელებისათვის, ეთხოვოთ შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, პოტენციური ბენეფიციარების მიერ დახმარების მიღების მიზნით მითითებულ განაცხად(ებ)ში დაფიქსირებული დაზიანების ფაქტის წერილობითი ფორმით დადასტურება.

6. იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც „საპილოტე პროგრამა ქალებისთვის“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს №1488 განკარგულების საფუძველზე დამტკიცებული „საპილოტე პროგრამა ქალებისთვის“ ფარგლებში შექმნილი სასათბურე მეურნეობები, ხოლო „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №235 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი ფერმები დაუზიანდათ 2025 წლის თებერვლის თვეში გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაეთვალოთ საპატიოდ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2025 წლის 19 ივნისის
№ 997 №1 განკარგულებით

გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ფერმერული მეურნეობების დახმარების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

1. „გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული ფერმერული მეურნეობების დახმარების პროგრამის“ (შემდგომში – პროგრამა) მიზანია 2025 წლის თებერვლის თვეში გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების/პროგრამების ფარგლებში შექმნილი ფერმერული მეურნეობ(ებ)ის აღდგენა.

2. პროგრამის ამოცანაა იმერეთისა და გურიის რეგიონებში დაზიანებული ფერმერული მეურნეობ(ებ)ის აღსადგენად ფინანსური დახმარების გაწევა.

მუხლი 2. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ა) **პოტენციური ბენეფიციარი** – პირი, რომელსაც იმერეთის ან/და გურიის რეგიონებში „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №235 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი აქვს ფერმერული მეურნეობა ან/და „საპილოტე პროგრამა ქალებისთვის“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს №1488 განკარგულების საფუძველზე დამტკიცებული „საპილოტე პროგრამის ქალებისთვის“ ფარგლებში შექმნილი აქვს სასათბურე მეურნეობა ან/და „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში შექმნილი აქვს გადამამუშავებელი ან/და შემნახველი საწარმო ან/და „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში შექმნილი აქვს გადამამუშავებელი ან/და შემნახველი საწარმო ან/და მეცხოველეობის (მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის) ფერმა ან/და სასათბურე მეურნეობა;

ბ) **ბენეფიციარი** – პოტენციური ბენეფიციარი, რომელთანაც პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულება;

გ) **ხელშეკრულება** – სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარზე გასაცემი დახმარების პირობებსა და მხარეთა მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;

დ) **დახმარება** – პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს მიერ ბენეფიციარზე ერთჯერადად გასაცემი ფულადი სახსრები;

ე) **განაცხადი** – პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი განაცხადი დახმარების მიღების მიზნით;

ვ) **პროექტი** – პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადით წარდგენილი პროექტი, რომელზეც სააგენტომ უნდა გასცეს დახმარება;

ზ) **ობიექტი** – „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №235 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი ფერმა ან/და „საპილოტე პროგრამა ქალებისთვის“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 აგვისტოს №1488 განკარგულების საფუძველზე დამტკიცებული „საპილოტე პროგრამის ქალებისთვის“ ფარგლებში შექმნილი სასათბურე მეურნეობა ან/და „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში შექმნილი გადამამუშავებელი ან/და შემნახველი საწარმო ან/და „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში შექმნილი გადამამუშავებელი ან/და შემნახველი საწარმო ან/და მეცხოველეობის (მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის) ფერმა ან/და სასათბურე მეურნეობა;

თ) **დასკვნა** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ანგარიში ან სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა საინვესტიციო ღირებულების მიზნობრივად ხარჯვასა და მიზნობრიობის შესრულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 4. პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

1. პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადით წარდგენილი პროექტი, რომელზეც გაიცემა დახმარება, უნდა დასტურდებოდეს წერილობითი ფორმით შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიებისაგან შესაბამისი ობიექტის 2025 წლის თებერვლის თვეში გურიისა და იმერეთის რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზიანების ფაქტი.

2. პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარს, რომელსაც სურს განაცხადით წარდგენილი პროექტით გათვალისწინებული დახმარების მიღება, სააგენტოში 2025 წლის 30 მარტამდე წარდგენილი უნდა ჰქონდეს იმერეთის ან/და გურიის რეგიონებში შესაბამისი ობიექტის მოწყობის დამადასტურებელი დასკვნა, ხოლო „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ შემთხვევაში შესაძლებელია, შესაბამისი ობიექტის მოწყობა დასტურდებოდეს სააგენტოს მიერ.

მუხლი 5. პროგრამის პირობები და თანადაფინანსება

1. პროგრამა ითვალისწინებს ერთი პოტენციური ბენეფიციარისათვის არაუმეტეს ერთი სასათბურე მეურნეობისთვის ან/და ერთი ფერმისთვის/ მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ფერმისთვის ან/და ერთი შემნახველი ან/და გადამამუშავებელი საწარმოსათვის მიზნობრივი ერთჯერადი დახმარების გამოყოფას შემდეგი პირობებით:

ა) სასათბურე მეურნეობის აღდგენის შემთხვევაში – პროექტის ღირებულებიდან არაუმეტეს 25,000 ლარის ოდენობით;

ბ) ფერმის/მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ფერმის აღდგენის შემთხვევაში – პროექტის ღირებულებიდან არაუმეტეს 40,000 ლარის ოდენობით;

გ) შემნახველი ან/და გადამამუშავებელი საწარმოს აღდგენის შემთხვევაში – პროექტის ღირებულებიდან არაუმეტეს 100,000 ლარის ოდენობით.

2. სააგენტო უზრუნველყოფს დახმარების გაცემას ბენეფიციარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის აღდგენიდან 2 თვის ვადის შემდეგ.

მუხლი 6. ბენეფიციარის შესასრულებელი ვალდებულება

ბენეფიციარი ვალდებულია, შემნახველი ან/და გადამამუშავებელი საწარმოს ან/და სასათბურე მეურნეობის ან/და ფერმის/მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ფერმის აღდგენისთვის დახმარების მიღებიდან 2 წლის განმავლობაში:

ა) არ გაასხვისოს სასათბურე მეურნეობა ან/და ფერმა/მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ფერმა ან/და შემნახველი ან/და გადამამუშავებელი საწარმო;

ბ) შეინარჩუნოს სასათბურე მეურნეობის ან/და ფერმის/მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა პირუტყვის ფერმის ან/და შემნახველი ან/და გადამამუშავებელი საწარმოს პროფილი.

მუხლი 7. განაცხადების მიღებისა და თანადაფინანსების გაცემის პროცედურა

პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების მიღებისა და დახმარების გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო.

მუხლი 8. პროგრამის მონიტორინგი

1. სააგენტო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელოს პროგრამის ფარგლებში საველე და დოკუმენტური მონიტორინგი.

2. ბენეფიციარმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად, უნდა წარადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის/ აუდიტორული ფირმის ანგარიში ან სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნა საინვესტიციო ღირებულების მიზნობრივად ხარჯვასა და მიზნობრიობის შესრულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 9. პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი

პროგრამა განხორციელდება იმერეთისა და გურიის რეგიონებში.